

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„26“ 12“ 2014 წელი

ეგზ. № 2

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *აქ 53/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	4
ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტები.....	6
ბიუჯეტის დამტკიცება და დაზუსტება	6
ბიუჯეტის შესრულება.....	7
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	11
პრიორიტეტების დოკუმენტი	11
საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განაცხადის წარდგენა მუნიციპალიტეტისთვის	12
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში	13
შრომის ანაზღაურება	14
არასწორი კლასიფიცირება.....	15
სარეზერვო ფონდის ხარჯვა	16
მიზნობრივი ტრანსფერის ასახვა ბიუჯეტში	17
სასესხო თავდებობა.....	18
საპროცენტო შემოსავალი.....	19
აუდიტის დასკვნა	20
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	20

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ტერიტორიულ ერთეულს. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბოლნისი. მისი ფართობია 80.4 ათას ჰა¹. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 78.9 ათასს². ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ბოლნისი. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა უკავშირდება მეტწილად მრეწველობას: წიაღისეულის მოპოვებას, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოებას. აქ განთავსებულია ოქროს, სპილენძის, ბარიტის, სხვა ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ლითონების საბადო. აღნიშნული მინერალების მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებელი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;

¹ <http://nala.ge>

² <http://geostat.ge>

- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტი აწესრიგებდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ 2012-2013 წლებში მასზე დელეგირებული იყო შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ვეტერანთა დაკრძალვა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 9 ა(ა)იპ, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყარო იყო ადგილობრივი ბიუჯეტი. ასევე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში იყო 11 შპს.

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი საფუძვლებია „საქართველოს კონსტიტუცია“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“¹ და სხვა ნორმატიული აქტები.

¹ კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტები

ბიუჯეტის დამტკიცება და დაზუსტება

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის 2012 და 2013 წლების ბიუჯეტები დაამტკიცა 2011 წლის 22 ნოემბრის¹ და 2012 წლის 25 დეკემბრის² დადგენილებებით. მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი მომზადებულია პრიორიტეტების დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრული პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე დაყრდნობით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში შევიდა 12 ცვლილება, ხოლო 2013 წლის ბიუჯეტში 13 ცვლილება. რიგ შემთხვევაში ბიუჯეტის ცვლილება განპირობებული იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ ტრანსფერების მოცულობის ზრდით. სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ერთი თვის ვადაში მოახდინოს ბიუჯეტის კორექტირება. დანარჩენ შემთხვევაში, ცვლილების მიზეზი გახდა არა გრანტების არამედ მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი შემოსულობების ხარჯვითი ნაწილის დაზუსტება. აღმასრულებელი ორგანოს მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტებს თან არ ერთვოდა შესაბამისი განმარტებითი ბარათები, რაშიც უნდა ასახულიყო თუ რით იყო განპირობებული და დასაბუთებული ბიუჯეტში შესატანი აღნიშნული ცვლილება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფს მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოუდგინა გონივრული მტკიცებულება იმისა, თუ რამდენად ოპტიმალურად დაზუსტდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ცვლილებების შედეგად და რამდენად ეფექტიანად მოხდა თანხების გადანაწილება ბიუჯეტის პროგრამებს შორის.

ბიუჯეტის ცვლილებების გათვალისწინებით 2012-2013 წლებში ბიუჯეტების საპროგნოზო მაჩვენებლები დაზუსტდა შემდეგი სახით:

¹ საკრებულოს დადგენილება №51

² საკრებულოს დადგენილება №46

ცხრილი № 1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები

ათასი ლარი

დასახელება	2012			2013		
	თავდაპირველი	დაზუსტებული	%	თავდაპირველი	დაზუსტებული	%
შემოსულობები	10 900,0	18 240,1	167%	14 000,0	16 797,3	120%
მ.შ. შემოსავლები	10 565,0	17 478,1	165%	13 870,0	16 725,3	121%
გადასახადები	1 713,1	4 120,0	240%	1 906,0	2 008,1	105%
გრანტები	285,0	1 740,1	611%	305,0	3 614,8	1185%
სხვა შემოსავლები	8 566,9	11 618,0	136%	11 659,0	11 102,4	95%
არაფინანსური აქტივების კლება	335,0	762,0	227%	130,0	72,0	55%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0		0,0	0,0	
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0		0,0	0,0	
გადასახდელები	11 400,0	22 770,0	200%	16 000,0	21 100,0	132%
ხარჯები	6 829,2	10 663,8	156%	10 240,0	13 740,7	134%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 403,5	11 938,9	271%	5 571,5	7 167,9	129%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0		0,0	0,0	
ვალდებულებების კლება	167,3	167,3	100%	188,5	191,4	102%
ნაშთის ცვლილება	-500,0	-4 529,9		-2 000,0	-4 302,7	

ბიუჯეტის შესრულება

კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო მისი უფლებამოსილების ფარგლებში საჯაროდ განიხილავს და აფასებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ 2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში.

ცხრილი №2-ში ნაჩვენებია 2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების მონაცემები.

ცხრილი № 2: 2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების მონაცემები

(ათასი ლარი)

დასახელება	2012			2013		
	გეგმა (დაზუსტებული)	ფაქტი	შესრულების %	გეგმა (დაზუსტებული)	ფაქტი	შესრულების %
შემოსულობები	18 240.1	20 271.6	111,1%	16 797.3	14 523.8	86,5%
შემოსავლები	17 478.1	19 441.1	111,2%	16 725.3	14 441.2	86,3%
მ.შ გადასახადები	4 120.0	5 122.7	124,3%	2 008.1	1 985.2	98,9%
გრანტები	1 740.1	1 686.6	96,9%	3 614.8	3 335.7	92,3%
სხვა შემოსავლები	11 618.0	12 631.8	108,7%	11 102.4	9 120.3	82,1%
არაფინანსური აქტივები კლება	762.0	830.5	109,0%	72.0	82.6	114,7%
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0		0.0	0.0	
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0		0.0	0.0	
გადასახდელები	22 770.0	20 447.4	89,8%	21 100.0	17 754.0	84,1%
ხარჯები	10 663.8	9 859.0	92,5%	13 740.7	12 598.7	91,7%
არაფინანსური აქტივები ზრდა	11 938.9	10 421.1	87,3%	7 167.9	4 963.9	69,3%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0		0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	167.3	167.3	100,0%	191.4	191.4	100,0%
ნაშთის ცვლილება	-4 529.9	-175.7		-4 302.7	-3 230.2	

2012 წლის შემოსულობების ნაწილი შესრულებულია გადაჭარბებით - 111,1 %-ით, მაშინ როცა ბიუჯეტის გადასახდელებმა წლიური დაზუსტებული გეგმის 89,8% შეადგინა. შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, რომ გადასახდელების შესრულების დაბალი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განპირობებულია მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობით, რის მიუხედავადც ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დადებითად შეაფასა.

2013 წლის ბიუჯეტში ვერ შესრულდა საბიუჯეტო შემოსულობების გეგმა, რამაც დაზუსტებული ბიუჯეტის 86,5% შეადგინა. დაბალია გადასახდელების შესრულების პროცენტიც - 84.1 %. 2013 წლის შემოსულობების დაბალი მაჩვენებელი მნიშვნელოვან წილად განპირობებულია სხვა შემოსულობების დაგეგმილ ოდენობაზე ნაკლების მიღებით, კერძოდ, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელმა შეადგინა ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტით განსაზღვრულ მაჩვენებელზე 1 987.4 ათასი ლარით ნაკლები (8 365.0 ათასი ლარი). 2013 წელს დაგეგმილი გადასახდელების შესრულების დაბალი მაჩვენებელიც ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ვერ განხორციელებით არის განპირობებული.

აღსანიშნავია, რომ 2012-2013 წლებში ბოლნისის თვითმმართველ ერთეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ მიუღია გათანაბრებითი ტრანსფერი, რადგან მუნიციპალიტეტმა ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის დასაფინანსებლად საკმარისი ოდენობით მიიღო საკუთარი შემოსულობები - 29 773.1 ათასი ლარი. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 20 219.1 ათასი ლარი.

2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია გადასახდელების ნაწილში ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის შეუსრულებლობის პროცენტული მაჩვენებლები.

ცხრილი №3: 2012-2013 წლების ხარჯების შესახებ

(ათასი ლარი)

დასახელება	2012			2013		
	გეგმა	ფაქტი	შესრულების %	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
შრომის ანაზღაურება	1501,4	1493,4	99,5%	2359,9	2333,2	98,9%
საქონელი და მომსახურება	3516,9	2951,4	83,9%	3081,7	2511,5	81,5%
პროცენტი	245,1	245,1	100,0%	223,0	221,0	99,1%
სუბსიდია	3180,5	3164,7	99,5%	5802,8	5749,8	99,1%
სოციალური უზრუნველყოფა	1667,7	1555,4	93,3%	1819,2	1670,3	91,8%
სხვა ხარჯები	552,2	449,0	81,3%	454,1	112,9	24,9%


2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯების ფაქტიური შესრულება გეგმასთან მიმართებაში დაბალია, კერძოდ 2012 წელს 83.9 %, ხოლო 2013 წელს 81.5 %. სოციალური უზრუნველყოფის მუხლებით 2012

წელს ვერ იქნა ათვისებული 112.3 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 148.7 ათასი ლარი. დაბალია შესრულების მაჩვენებელი „სხვა ხარჯების“ მუხლითაც, კერძოდ: 2012 წელს - 81.3 %, ათვისებულია 103.2 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 24.9 %, ათვისებულია 341.2 ათასი ლარი. 2012-2013 წლებში ხარჯების ყველაზე დიდ წილს წარმოადგენს შპს-ებზე და ა(ა)იპ-ებზე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად გაცემული სუბსიდიები, რაც მუნიციპალური ხარჯების 40%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის პროცენტის ხარჯი გულისხმობს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად აღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას, რამაც საბიუჯეტო ხარჯების 2% შეადგინა.

საბიუჯეტო პარამეტრების შესრულების დაბალ პროცენტულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის დაგეგმვისას წინა პლანზე აყენებს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული ბიუჯეტის დამტკიცების და შესრულების ვადების დაცვას, ხოლო პარამეტრების დაგეგმვის და შესრულების სიზუსტეს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გაწეული ხარჯები განაწილდა შემდეგი თანაფარდობით:

დიაგრამა №1: 2012-2013 წლების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



პირობითი მოსაზრების საფუძვლები

პრიორიტეტების დოკუმენტი

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი იწყება პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებით. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო სტრატეგიის შესახებ. ბოლნისის მუნიციპალიტეტს 2012-2013 წლებში პრიორიტეტები განსაზღვრული აქვს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ✓ თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- ✓ განათლება;
- ✓ კულტურის, რელიგიისა და სპორტის სფეროების განვითარება, ახალგაზრდობის ხელშეწყობა;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით უნდა გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.¹ ბოლნისის მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლების პრიორიტეტების დოკუმენტების მოსამზადებლად გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილია სამუშაო ჯგუფები, თუმცა ბრძანება ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის განვითარების სამოქმედო გეგმას და საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით უნდა მოიცავდეს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ

¹ საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი

მაჩვენებლებს.¹ თუმცა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი არასრულია და მოიცავს მხოლოდ მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლების აგრეგირებულ მონაცემებს. შესაბამისად აღნიშნული პრიორიტეტების დოკუმენტი არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც თვითმმართველი ერთეულის საშუალო ვადიანი სამოქმედო სტრატეგია.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო პრიორიტეტების დოკუმენტს, ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს საკრებულოს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოსათვის წარდგენის ფაქტი.

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განაცხადის წარდგენა მუნიციპალიტეტისთვის

საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანომ საბიუჯეტო ორგანიზაციებს დაუგზავნა განაცხადის ფორმები, რომლებიც სათანადოთ შევსებული მასვე უნდა წარდგენოდა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად.

კანონმდებლობის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საფინანსო ორგანოსათვის წარმოდგენილი განაცხადები უნდა მოიცავდეს პროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. გარდა ამისა, აღწერილი უნდა იყოს მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი მიზნები. თუმცა, დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადები უმეტეს შემთხვევებში არასრულყოფილად იყო შევსებული და შეუსაბამოა საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებთან.

¹ საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-4 პუნქტი

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. საკრებულო საჯაროდ იხილავს აღნიშნულ ანგარიშს, აფასებს მას და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების / ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს. პროგრამული ბიუჯეტის შედეგის მეთოდოლოგიის მიხედვით აღნიშნულ ინფორმაციაში იგულისხმება თითოეული პროგრამისათვის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგი, წლის ბოლოსათვის მიღწეული შედეგი, შედეგის შეფასების ინდიკატორები, განმარტებები დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში¹. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ მოიცავს ზემოთ აღწერილ ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშების თანახმად, 2012-2013 წლების მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ/პროგრამულ ბიუჯეტში გამოვლინდა დაზუსტებულ ასიგნებებსა და ფაქტიურ ხარჯებს შორის 30 %-ზე მეტი შეუსაბამობები.

2012 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით:

- სპორტული დარბაზის რემონტი (ორგანიზაციული კოდი 0517)²
შესრულებულია 11.1 %-ით;

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედეგის მეთოდოლოგიის“ დანართი №4-ის მე-3 პუნქტი

² გეგმა - 450.0 ათასი ლარი, ფაქტი - 50.0 ათასი ლარი

- მუნიციპალური ტრანსპორტის შეძენა-რემონტი (ორგანიზაციული კოდი 0505) - 0%¹.

2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით:

- სარწყავი არხების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 030201)² შესრულებულია 27.2 %-ით;
- საკანალიზაციო სისტემების მოწყობისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030204) - 3.4%³;
- ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 030206) - 25.7 %⁴.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში ფიქსირდება 30%-ზე მეტი ცდომილებები, ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები არ მოიცავს კანონით გათვალისწინებულ განმარტებით ბარათებს აღნიშნული შეუსაბამობების შესახებ, თუმცა საკრებულოს მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები დადებითად შეფასდა.

შრომის ანაზღაურება

2012-2013 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯი შეადგენდა 3826.6 ათას ლარს, აქედან 2012 წელს - 1 493.4 ათასი ლარი და 2013 წელს 2 333.2 ათასი ლარი, რაც შესაბამისი წლების ხარჯების 15% და 19%-ს შეადგენს. 2012-2013 წლების მთლიანი სახელფასო ფონდის დაახლოებით 28%-ს წარმოადგენს მომუშავეებზე გაცემული პრემია, რაც ჯამში 1 051.6 ათასი ლარია⁵. ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე პრემია გაიცა თანამდებობრივ სარგოზე

¹ გეგმა - 133.0 ათასი ლარი, ფაქტი - 0 ლარი

² გეგმა - 27.5 ათასი ლარი, ფაქტი - 7.5 ათასი ლარი

³ გეგმა - 1311.2 ათასი ლარი, ფაქტი - 44.6 ათასი ლარი

⁴ გეგმა - 439.1 ათასი ლარი, ფაქტი - 112.9 ათასი ლარი

⁵ 2012 წელი - 404.6 ათასი ლარი, 27%; 2013 წელი - 647.0 ათასი ლარი, 28 %.

მეტი ოდენობით. პრემიები უმეტესად გაცემულია მუნიციპალიტეტის ისეთ თანამდებობის პირებზე, როგორიც არის საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგებლის მოადგილეები და სამსახურის უფროსები. თანამშრომლების პრემირება უმჯობესია უფრო მეტად იყოს გამყარებული ობიექტური გარემოებებით და ეფუძნებოდეს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას.

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გაზარდონ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს ამავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით „შრომის ანაზღაურების“ მუხლი განისაზღვრა 1287.0 ათასი ლარით. წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაიზარდა 214.0 ათასი ლარით, რაც თავდაპირველად დამტკიცებული სახელფასო ხარჯის 1/6-ია. აღნიშნულით, ხარჯების „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაიზარდა კანონმდებლობის შეუსაბამოდ.

არასწორი კლასიფიცირება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მიხედვით, 2012-2013 წლების ბიუჯეტის გადასახდელებში არასწორად არის კლასიფიცირებული 1 408.1 ათასი ლარი¹, კერძოდ:

- 2012 წელს კოტეჯების ასაწყობი კონსტრუქციის, ჭაბურღილის ტუმბოს, სოციალურ დაუცველთა თავშესაფრის მშენებლობის, ამბულატორიების რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვის ღირებულება 241.6 ათასი ლარი, ნაცვლად „არაფინანსური

¹ არ შეესაბამება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 672 ბრძანებას.

აქტივების ზრდისა“ მიკუთვნებულია „სხვა ხარჯებსა“ (37.8 ათასი ლარი) და „საქონელი და მომსახურების“ ხარჯებს (203.8 ათასი ლარი).

- 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, შემოღობვის, წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის, ჭაბურღილების მოწყობის, რიტუალების სახლის მშენებლობის და სხვა სამუშაოები ღირებულებით 178.9 ათასი ლარი. აღნიშნულისთვის საბიუჯეტო სახსრების გადახდა ნაცვლად „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ მიკუთვნებულია საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (158.7 ათასი ლარი) და სხვა ხარჯებს (20.2 ათასი ლარი).
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიხედვით მიმდინარე რემონტის ხარჯი, როგორცაა მოხრეშვები, გარე განათების ექსპლუატაცია, დაგვა-დასუფთავების მომსახურება და სხვა, ღირებულებით 987.6 ათასი ლარი ასახულია „ოფისის“ ხარჯებში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად ეს ხარჯები წარმოადგენს „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ ხარჯებს და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტშიც უნდა ასახულიყო შესაბამისად.

სარეზერვო ფონდის ხარჯვა

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი იქმნება გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად.

2012-2013 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი შეიქმნა არამხოლოდ საგანგებო და გაუთვალისწინებელი ხარჯების, არამედ „სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის“ ღონისძიებების დაფინანსების მიზნით. ფონდის სიდიდემ დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით შეადგინა - 2012 წელს - 50.0 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 300.0 ათასი ლარი და დაფინანსდა ისეთი პროექტები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ განეკუთვნება გაუთვალისწინებელ ღონისძიებებს. კერძოდ, ხელოვნურსაფარიანი მოედნის რეაბილიტაცია თანხით - 12.0 ათასი ლარი¹ და სასმელი

¹ გამგებლის 2012 წლის 7 სექტემბრის №779 ბრძანება, ხელშეკრულება №265, 18.09.2012

წყლის ჭაბურღილის მოწყობა თანხით - 43.0 ათასი ლარი¹. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან „სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის“ ღონისძიებების დაფინანსება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები მუნიციპალიტეტმა გააფორმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ, 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში, რითაც დაირღვა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები. კერძოდ, 2012 წლის საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების ზრდა, ასევე ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტით.

მიზნობრივი ტრანსფერის ასახვა ბიუჯეტში

2012-2013 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოსგან დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოყოფილმა თანხებმა შეადგინა შესაბამისად 277.8 ათასი და 305.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის ბალანსში, ხარჯებსა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციასა და ასიგნებების ეკონომიკურ/პროგრამულ კლასიფიკაციაში მუნიციპალიტეტს მიზნობრივი ტრანსფერის გამოყენება ნაჩვენები აქვს, როგორც საკუთარი შემოსულობის ხარჯვა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, მიზნობრივი ტრანსფერი არ მიეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ შემოსულობას და შესაბამისად, ბიუჯეტში ასახული უნდა იქნეს, როგორც თვითმმართველობის არასაკუთარი შემოსულობები. აღნიშნულმა შეცდომამ საბიუჯეტო წლის დასრულებისას შესაძლოა წარმოშვას მიზნობრივი ტრანსფერიდან დარჩენილი გაუხარჯავი თანხის საკუთარი შემოსულობებისგან დიფერენცირების პრობლემა. შესაბამისად, აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოყოფილი თანხები გაიხარჯოს მიზნობრიობის დარღვევით.

¹ გამგებლის 2012 წლის 7 სექტემბრის №779 ბრძანება, ხელშეკრულება №266, 20.09.2012

სასესიო თავდებობა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი არის შპს „საფეხბურთო კლუბი სიონის“ 100%-იანი წილის მფლობელი. კლუბის საქმიანობა ფინანსდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დგინდება რომ აგვისტოს თვის მდგომარეობით მან სრულად გახარჯა ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით გამოყოფილი სახსრები. სახელფასო და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად საჭირო იყო ბიუჯეტით საფეხბურთო კლუბისთვის დამტკიცებული ასიგნების ზრდა. თუმცა ბიუჯეტში შესაბამის ცვლილებას მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებდა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამ დროისათვის გამოცხადებული იყო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღი. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. აქედან გამომდინარე, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება საარჩევნო კოდექსის გვერდის ავლით შპს „საფეხბურთო კლუბი სიონისთვის“ სესხის აღების ნება დაერთო, ხოლო მუნიციპალიტეტი ყოფილიყო თავდები ბანკთან.

აღნიშნულის საფუძველზე გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება სს „ბანკი ქართუსა“ და ბოლნისის მუნიციპალიტეტს შორის, რომლის უზრუნველყოფითაც გაიცა 250.0 ათასი ლარის სესხი შპს „საფეხბურთო კლუბი სიონზე“. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ, სესხი აიღონ საქართველოს მთავრობისაგან ან/და სხვა წყაროებიდან საქართველოს მთავრობის ნებართვით¹. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით თავდებობა გულისხმობს, ბანკის უფლებამოსილებას

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 21-ე მუხლი

ვალის გადახდა მთლიანად თავდებს დააკისროს თუ მსესხებელი ვალდებულებას ვერ დაფარავს. შესაბამისად ანალოგიური ვალდებულება აიღო ბოლნისის მუნიციპალიტეტმა შპს „საფეხბურთო კლუბ სიონისთვის“ სასესხო თავდებობის დროს და საჭიროებდა თანხმობას საქართველოს მთავრობისგან, რაც არ განხორციელებულა. შპს „საფეხბურთო კლუბ სიონის“ მიერ აღებული სესხი, შესაბამისი წლიური საბანკო პროცენტით (12%), დაიფარა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასული სუბსიდიით.

საპროცენტო შემოსავალი

ბოლნისის მუნიციპალიტეტს თავისუფალ ნაშთზე საპროცენტო სარგებელი 17%-ის ოდენობით ერიცხება სს „ლიბერთი ბანკში“. 2012 წლის 1 თებერვალს, თვითმმართველ ქალაქ რუსთავსა, ბოლნისის მუნიციპალიტეტსა¹ და სს „ლიბერთი ბანკს“- შორის გაფორმდა შეთანხმება საბანკო მომსახურებაზე. შეთანხმების მიხედვით ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის თანხა, მიმართული იქნებოდა სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად. 2012 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთზე დასარიცხმა პროცენტმა შეადგინა 940.8 ათასი ლარი, საიდანაც 539.8 ათასი ლარი არ დარიცხულა მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშზე.

ბანკსა და თვითმმართველ ერთეულებს შორის შეთანხმების აღნიშნული პირობა ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის პრინციპებს². კერძოდ:

- ყოვლისმომცველობის პრინციპის მიხედვით ბიუჯეტის ყველა შემოსულობა, გადასახდელი და ნაშთის ცვლილება სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამის ბიუჯეტებში, თუმცა ბოლნისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 539.8 ათასი ლარი არ ასახულა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებში;

¹ გარდა ბოლნისის მუნიციპალიტეტისა შეთანხმებაში ჩართულები არიან ქვემო ქართლის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებიც.

² საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი

- უნივერსალობის პრინციპის მიხედვით ბიუჯეტის ყველა შემოსულობა მიმართული უნდა იყოს საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად და არც ერთი შემოსულობა (გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა) არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად, რაც არ განხორციელდა;
- კონსოლიდირების პრინციპის თანახმად ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობები სავალდებულოა აისახოს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში, რაც ასევე არ შესრულდა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:

გიორგი შურღია




ხელმოწერა

24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ირაკლი გოგოლიძე



ხელმოწერა

24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

თეა არველაძე

თ. არველაძე

ხელმოწერა

24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

თამთა გელაშვილი

თ. გელაშვილი

ხელმოწერა

24.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე

შ. ბუცხრიკიძე

ხელმოწერა

24.12.2014 თარიღი